

„საქართველოს უნივერსიტეტი“, როგორც პასუხისმგებლობის მქონე კორპორაციული მოქალაქე

„საქართველოს უნივერსიტეტი“ ქართულ საგანმანათლებლო ბაზარზე სწავლების მაღალი ხარისხით გამოირჩევა და ორიენტირებულია სტუდენტებს მისცეს თანამედროვე, დასავლური სტანდარტის შესაბამისი განათლება. უნივერსიტეტში განსაკუთრებული აქცენტი პრაქტიკულ სწავლაზეა გამახვილებული, რაც სტუდენტს ეხმარება იყოს კონკურენტუნარიანი შრომით ბაზარზე. ასევე, სტუდენტები ჩართულნი არიან სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში, რაც მათ ეხმარება არ ჩამორჩნენ ტემპს, რომელიც მსოფლიოშია და ელვის სისწრაფით იცვლება. გარდა იმისა, რომ „საქართველოს უნივერსიტეტი“ სწავლების მაღალ ხარისხზეა ორიენტირებული, კარგად აქვს გააზრებული კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის როლი, რომლის ფარგლებშიც არაერთი სოციალური-საგანმანათლებლო პროექტის ლოგისტიკა. მთავაზობთ ინტერვიუს „საქართველოს უნივერსიტეტის“ რექტორ კონსტანტინე თოფურიასთან.

რას გვეტყვი „საქართველოს უნივერსიტეტის“ პროექტებზე და რას აკეთებს უნივერსიტეტი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით?

„საქართველოს უნივერსიტეტი“ 2004 წელს დაარსდა. მახსოვს, ძალიან მცირე მასშტაბით დავიწყეთ, თავიდან 36 სტუდენტი მივიღეთ, დღეს კი ჩვენი დაახლოებით 8000 სტუდენტი სწავლობს. საქართველოში ერთადერთი კერძო უნივერსიტეტი ვართ, რომელიც ამ რაოდენობის ახალგაზრდას აძლევს ხარისხიანი განათლების მიღების საშუალებას. მუდმივად ვახდენთ პროგრამების მოდიფიცირებას, რომ მსოფლიო განათლების ტემპს არ ჩამოვრჩეთ.

გარდა იმისა, რომ ჩვენი უმთავრესი ამოცანაა ხარისხიანი განათლება მივცეთ სტუდენტებს, კარგად გვაქვს გააზრებული კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა და ის, რომ ჩვენ ვართ საზოგადოების ნაწილი. სწორედ ამიტომ, ვცდილობთ განათლება მთელი საქართველოს მასშტაბით გავხადოთ ხელმისაწვდომი და მოსახლეობას მივაწოდოთ ის ბენეფიტი, რომელიც მათთვის გამოსადეგია განათლების მიღებისა და სიახლის გაცნობის თვალსაზრისით. ამით ვეხმარებით ჩვენს სლოგანსაც – „თუ სწავლა გინდა, განათლება გაგამდიდრებს“.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, ორი წლის წინ საქართველოს 6 ქალაქში გავხსენით რეგიონული ოფისები, რომლებიც საქართველოს 8 რეგიონს ფარავს (ბათუმი, ზუგდიდი, ქუთაისი, გორი, თელავი, ახალციხე). ადგილობრივ მოსახლეობას შეუძლია როგორც ჩვენი უნივერსიტეტის მუშაობის პრინციპს გაეცნონ, აგრეთვე ეს სივრცეები ცოდნის მისაღებად გამოიყენონ. ამ დროის განმავლობაში რეგიონულ ოფისებში 200-მდე საგანმანათლებლო ღონისძიება ჩატარდა. ჩვენი უნივერსიტეტის პრაქტიკოსმა ლექტორებმა სრულიად უსასყიდლოდ არაერთი ტრენინგი ჩატარეს ადგილობრივი მოსახლეობისთვის, მათ შორის – მასწავლებლებისთვის და მოსწავლეებისთვის. ამასთან, ინტენსიურად ვმართავთ საჯარო ლექციებს სხვადასხვა აქტუალურ თემაზე. მახარებს ფაქტი, რომ მოსახლეობის მხრიდან ჩვენი ღონისძიებების მიმართ ინტერესი ძალიან მაღალია და მათგანაც ბევრი ინიციატივა მოდის. ძალიან მაღე კი ექვსივე რეგიონულ ოფისში ბიბლიოთეკები გაიხსნება.

უფრო კონკრეტულად გვიამბეთ ბიბლიოთეკების შესახებ.


კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში გადავწყვიტეთ რეგიონულ ოფისებს მეტი დატვირთვა, მოსახლეობას კი მეტი საგანმანათლებლო ბენეფიტი მივცეთ.

ბიბლიოთეკების გახსნა რეგიონებში დამატებითი შესაძლებლობაა, რათა ადგილობრივები გაეცნონ მათთვის საინტერესო ლიტერატურას. ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ მოთხოვნა მეტწილად პროფესიულ წიგნებზეა, ამიტომ ჩვენს ბიბლიოთეკებში უმეტესად პროფესიული წიგნები იქნება, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე. გარდა დარგობრივი ლიტერატურისა, იქნება მხატვრული და საბავშვო ლიტერატურაც. ასევე, სახელმძღვანელოები, რომლებიც განსაკუთრებულ დახმარებას გაუწევს მაღალკლასელებს (მე-11, მე-12) და მასწავლებლებს. ბიბლიოთეკით სარგებლობას კი ყველა შეძლებს.

პროფესიული ლიტერატურა ჩვენი ლექტორების დახმარებით შევარჩიეთ. გარდა იმისა, რომ ოფისებში ბიბლიოთეკებს ვხსნით, ასევე გვგეგმავთ მე-12 კლასელებისთვის მოვიწვიოთ სხვადასხვა საგნის პედაგოგები, რომლებიც მათ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის სრულიად უფასოდ მოამზადებენ.

როგორც ვიცით, უნივერსიტეტი გამოირჩევა პრაქტიკული სწავლებით. თუ შეიძლება განგვიმარტეთ, რას გულისხმობს ეს მოდელი?

„საქართველოს უნივერსიტეტში“ განსაკუთრებული აქცენტია გამახვილებული პრაქტიკულ სწავლაზე და საერთაშორისო თანამშრომლობაზე, რომლის ფარგლებშიც ჩვენი სტუდენტები არაერთ საინტერესო პროექტში არიან ჩართულნი. მათ შორის მინდა გამოვყო რამდენიმე პროგრამა.



მაგალითად, ჩვენი ჟურნალისტიკის პროგრამა EJTA-ს (European Journalism Training Association) საერთაშორისო პროგრამის წევრია. ცოტა ხნის წინ ჩვენმა ჟურნალისტიკის პროგრამის სტუდენტებმა მათ პლატფორმა euFactcheck. eu-ზე განათავსეს სტატიები ინფორმაციის გადამოწმების შესახებ, თუ როგორ ხდებოდა რუსული გავლენების გავრცელება და ამავდროულად, ევროპული სტერეოტიპების გავრცობა საქართველოში.

ასევე, მინდა აღვნიშნო „საქართველოს უნივერსიტეტის“ სამართლის სკოლა, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობს მედიაციის მიმართულებას და ამ კუთხით ახალგაზრდების ჩართულობას საერთაშორისო დონეზე. ჩვენი სამართლის სკოლის გუნდი პირველია ქვეყნის მასშტაბით, რომელმაც

გაიმარჯვა საერთაშორისო მედიაციის კონკურსში – INADR Mediate'19 International Mediation Competition და გახდა საუკეთესო ადვოკატ-კლიენტის გუნდის ტიტულის მფლობელი. როგორც გამარჯვებულ უნივერსიტეტს, პრიზად გადაეცა 2020 წელს აშშ-ში მედიაციის საერთაშორისო კონკურსის დაფინანსება.

გარდა იმისა, რომ ჩვენი სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებში, ცოდნას თანამედროვედ აღჭურვილ სივრცეებში იღებენ. მაგალითად, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების პროგრამის ჩვენი სტუდენტები სასწავლო ლაბორატორიებში წერენ ახალ პროგრამებს და ავითარებენ ტექნოლოგიებს.

გარდა ამ პროექტებისა, მომავალ და

ამჟამინდელ სტუდენტებს რა სახის სიახლეებს სთავაზობს „საქართველოს უნივერსიტეტი“?

უნივერსიტეტს ძალიან ბევრი გეგმა აქვს. ვგეგმავთ კიდევ უფრო განვითარებას და წინსვლას, ახალი პროგრამების შემუშავებას, რომლებიც დააკმაყოფილებს თანამედროვე შრომითი ბაზრის მოთხოვნებს, ინფრასტრუქტურის განვითარებას, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას, უფრო მეტი საერთაშორისო კონტაქტის დამყარებას და ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაღრმავებას. ასევე, დასაქმების უფრო მეტად ხელშეწყობას.

ჩვენ ვცდილობთ, ყოველთვის გვედოს ხელი თანამედროვე განვითარების პულსზე, რადგან ჩვენს სტუდენტებს საუკეთესო მივაწოდოთ. **OK!**



ტელეფონი - 322 2 55 22 22
მისამართი - 77, მ. კოსტავას ქუჩა
www.ug.edu.ge
FB - THEUNIVERSITYOFGEORGIA